# გია ვოლსკი: „როგორც საკრებულოში, ისე პარტიაში და მერიაში მეტი კოორდინაცია, მეტი შეთანხმებული მუშაობაა საჭირო“

**ალიონი.** აგვისტოს თვის ყოველ პარასკევს, შაბათ-კვირას რამდენიმე შეხვედრას მართავდნენ საქართველოს პარლამენტის წევრები ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბებისა და სოფლების მოსახლეობასთან. რამდენიმე შეხვედრას თავად პარლამენტის თავმჯდომარე **არჩილ თალაკვაძე** დაესწრო. ძირითადად შეხვედრებს პარლამენტის უმრავლესობის ლიდერი **გია ვოლსკი** უძღვებოდა. შეხვედრებში მონაწილეობდნენ პარლამენტარები გია **გაჩეჩილაძე, თემურ ჭკუასელი, დიმიტრი ხუნდაძე, ნინო წილოსანი, ირაკლი ხახუბია, ილია წულაია, მინისტრის მოადგილეები, გურიის მხარის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები.**

როგორც გია ვოლსკიმ ჟურნალისტებთან განაცხადა, ამ შეხვედრების მიზანი ადგილებზე არსებული პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება იყო.

–„მოსახლეობასთან კომუნიკაცია არის ისეთი,რომელიც შეესაბამება იმ ინტერესებს, რაც ადგილზე მნიშვნელოვანია.“

სხვადასხვა სოფლებში სხვადასხვა პრობლემებია. იდენტური ძირითადად წყალი, ბუნებრივი აირი და სოფლის ან დაბის შიდა გზები, თხილის დაავადებებთან ბრძოლის და თხილის ჩამბარებლების კარტელური გარიგების თემა იყო. მდინარისპირა სოფლები კარიერების თემას აპროტესტებდნენ.

პარლამენტის თავმჯდომარე არჩილ თალაკვაძემ სოფელ ნატანებში გამართულ შეხვედრებზე მოსახლეობას გააცნო ის სიახლეები, რასაც ისინი უნდა ელოდნენ უახლოეს ხანში მთავრობისაგან. ესენია: საპენსიო რეფორმა, უფასო მედიკამენტების ჩამონათვალის 300 ერთეულამდე გაზრდა, განათლების დარგის პრიორიტეტულობა (მომავალ წელს განათლებას ქვეყნის ბიუჯეტის 25 პროცენტი მოხმარდება) და ა.შ.

–„ადამიანებს არ უნდა დაპირდე, თუ დაპირდები, უნდა შეასრულო“ –მიმართა გია ვოლსკის სოფელ სილაურში პედაგოგმა ზაირა გოგუაძემ.

–„ხმის მიცემის დროს ყველანი კარგები ხართ, დამთავრდება არჩევნები და არავის ვახსოვართ“ (ვაჟა ჭანიშვილი, სოფ. ლიხაური).

–ხალხს ძარცვავენ თხილის ჩამბარებლები.რამდენი თანხა დაუჯდა გლეხებს, რომ თხილის მოსავალი მიეღო. თითო სადი კეკალიც რომ არ ჩაუთვალოს გლეხს თხილის მიმღებმა, 100 კილოგრამ თხილზე 50 ლარს ჰპარავს.

ყოველთვის „მიშა მოდისო“– არ გამოდგება არჩევნებზე, ხმა ხომ უნდა მოგცეთ? –თქვა სოფელ ბაღდადში შეხვედრაზე ნოდარ ხომერიკმა.

სოფელ მაკვანეთში, მოსახლეობასთან შეხვედრის დასრულების შემდეგ გია ვოლსკისთან ინტერვიუ ჩავწერეთ. გთავაზობთ გაზეთ „ალიონის“ მიერ დასმულ კითხვებს და პასუხებს:

**–ბატონო გია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში უმწვავესი თემაა კარიერების საკითხი.სრული განუკითხაობაა მდინარეების აუზებში. ათეულობით კომპანიაა შესული მდინარეების: სუფსის, ნატანების ბჟუჟის, ბახვისწყლის, გუბაზეულის ხეობებში. ისინი უმეტესად წესების დარღვევით მოიპოვებენ ქვა-ღორღს. კარიერების არასწორი ექსპლოატაციის**



გვ-2


# ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 30 (10323) 9 სექტემბერი , 2019 წ. ფასი 60 თეთრი.


## ინტერნეტ-ტელევიზია „TV მეორეს“ პირდაპირი ეთერი საკრებულოს სხდომათა დარბაზიდან




გვ-2

## მკითხველთა საყურადღებოდ!

უპირველესად, ბოდიშს გიხდით, რომ თითქმის თვენახევრის მანძილზე, ფინანსური პრობლემების გამო, ვერ შევძელით გაზეთის გამოშვება. მადლობას გიხდით ერთგულებისათვის, პირადი შეხვედრებით, სატელეფონო ზარებითა და შეტყობინებებით გულშემატკივრობისთვის. იმედს გამოვთქვამთ, მხარის მასშტაბით უძველესი გაზეთისადმი თქვენი გვერდით დგომა და კომუნიკაცია კიდევ უფრო ინტენსიურ ხასიათს მიიღებს, როგორც ხელმოწერებითა და ცალკეული ნომრების შეძენით, ისე კორესპონდენციების, რეკლამებისა და განცხადებების მოწოდებით.

ფინანსური პრობლემების გადასაჭრელად, რედაქციამ შეიმუშავა ახალი მენეჯმენტი, მდგომარეობა რამდენადმე შემსუბუქდა, რამაც შესაძლებლობა მოგვცა, განგვეახლებინა გაზეთის გამოცემა და ბეჭდვა.

მკითხველებს, რომელთაც „ალიონი“ გამოწერილი ჰქონდათ მიმდინარე წლის დეკემბრის ჩათვლით, ხელმოწერები გაუგრძელდებათ 2020 წლის შუა თებერვლამდე.

## „მონიშნული“ გომისმთა, ანუ ახალი „კლონდაიკი“ აჭარა-გურიის მთებში



კურორტი გომისმთა ჯეკ ლონდონის იმ ნაწარმოებებს გვაგონებს, სადაც აღწერილია თუ როგორ დაიძრა მე-19 საუკუნის ბოლოს ათასობით ოქროსმაძიებელი ალიასკასკენ, იუკონის ტერიტორიაზე, კლონდაიკში, სადაც ყველა მიწას იზომავდა, თხრიდა და ოქროს ეძებდა.

მართალია, ჯერჯერობით გომისმთაზე ოქროს ზოდები არ უპოვიათ, მაგრამ გადათხრილ-ჩაბეტონებულია ლამაზი მთა-მინდვრები, განადგურებულია მოცვის და შქერის ქვეტყე, რომელიც მეწყერული პროცესებიდან იცავს მთებს...მთა-გორაკებზე, მდინარის ხეობაში თუ უშუალოდ კურორტზე ყველგან რკინა-ბეტონის თუ ხის მოსანიშნებია გაკეთებული. მთის მწვანე ხალიჩა მტრის ისრებისგან დაფარულ ბრძოლის ველს ჰგავს.

არ ვაპირებთ რაიმეს შეფერადებას და ვიტყვით, რომ როგორც მხარის, ისე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დამოკიდებულება კურორტის ამ მდგომარეობამდე მიყვანაში, კრიტიკას იმსახურებს.

დავიწყოთ პოლიტიკური თემით: კურორტ გომისმთაზე საავარაკო სახლები ძირითადად ოზურგეთის, ქობულეთის და შუახევის მუნიციპალიტეტების მცხოვრებლებს ეკუთვნით. ყოველწლიურად აჭარის ხელისუფლება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (კურორტის გაღმა ნაწილში) აღნიშნავს სახალხო დღესასწაულს „შუამთობას.“ამ ღონისძიებას ესწრებიან აჭარის უმაღლესი ხელისუფლების პირველი პირები, საქართველოს პარლამენტის და აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელები და ა.შ. წელს „შუამთობას“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე** ესწრებოდა. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკურად რამდენად სწორია, რომ ამ ღონისძიებას არ დასწრებია არც გუბერნიის, არც ადგილობრივი მუნიციპალიტეტის არც ერთი თანამდებობის პირი.

წინა წლებში კურორტის პოპულიზაციის მიზნით რამდენიმე ღონისძიება ტარდებოდა და მას ასეულობით ადამიანი ესწრებოდა. ბოლო პერიოდში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ გამართულ „გომისმთობას“ რამდენი ადამიანი დაესწრო?

ადგილობრივი ხელისუფლების ფასადური ღონისძიებები, რომელიც ტრაქტორით რამდენიმე სახლის ჩაბეტონებული ბოძების მოთხრით და რამდენიმე გამაფთხილებელი ბანერის დამონტაჟებით შემოიფარგლა, კურორტზე სიტუაციას ვერ ცვლის. პირიქით, ახლა გაძლიერებული ტემპით მიმდინარეობს ტრაქტორით მიწის თხრისა და ახალი ბოძების ჩაბეტონების სამუშაოები. ერთადერთი, რასაც მუნიციპალიტეტი კარგს აკეთებს, ეს არსებული შენობების დანომვრის სამუშაოებია, თუმცა აქაცაა კითხვითი ნიშნები.

როგორც ჩანს, გაზეთ „ალიონის“9 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულმა სტატიამ „რა ხდება

გვ-3

## გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;
– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;



**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**



*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*



## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
**nugzarasatiani@rambler.ru**
**558 499100**

*საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:*
**თემურ მარშანიშვილი**
**tem52@mail.ru**
**599 373515**

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
**gia_77@mail.ru**
**551 576060**

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77



დაიწყეთ ყოველი დილა ალიონზე

«ალიონით»


# გია ვოლსკი: „როგორც საკრებულოში, ისე პარტიაში და მერიაში მეტი კოორდინაცია, მეტი შეთანხმებული მუშაობაა საჭირო“

**შედეგად მოსახლეობა კარგავს ათეულობით ჰექტარ სახნავ სავარგულს. მდინარე ბჟუჟის ხეობაში დიდი ოდენობით ქვა-ღორღის მოპოვების გამო საფრთხე ექმნება ქალაქის წყალმომარაგებას. წიაღ-ისეული ეროვნული სააგენტო კი ახალ ლიცენზიებს გასცემს..**

–ამ თემაზე მოსახლეობისაგან მოვისმინე სხვადასხვა სოფელში. რაც შეეხება პრობლემას, ზოგადად, ჩვენ აქ სწორედ იმისთვის ვართ ჩამოსული, რომ ინფორმაცია შევაგროვოთ, მოხდეს ამ ინფორმაციების კლასიფიკაცია და გადასაწყვეტად საკითხის დაყენება. თუ საექსპერტო სეფასებები გაინტერესებთ, შეგიძლიათ ჰკითხოთ სესაბამის ექსპერტებს.

არის ინფორმაცია, რომ კარიერები ხელს უშლის ჭებში საკმარისი რაოდენობის წყლის დაგროვებას. მაგრამ ამისთვის, ზუსტი საექსპერტო შეფასებაა საჭირო. არ შეიძლება სოფელი იყოს უწყლოდ. ბუნებრივია, ქალაქის წყალმომარაგებასაც არ უნდა შეექმნას პრობლემა.

**–როგორც ჩვენთვის ცნობილია, „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ოფისში დახურული შეხვედრა გაიმართა, სადაც თქვენ დაგისვეს კითხვა, რომ მიგაჩნიათ თუ არა პარტია „ქართული ოცნების“ ოზურგეთის აქტივი „ოცნების“ გუნდის წევრებად?**

–დახურული შეხვედრა იმიტომ არის დახურული, რომ დახურულია.. მე ჩემს შეხედულებას გეტყვით. **რაიონს საკმაოდ კარგი, ძლიერი ინტელექტუალური რესურსი გააჩნია და ეს არის, როგორც საკრებულოში, ისე პარტიაში და მერიაში. მეტი კოორდინაცია, მეტი შეთანხმებული მუშაობაა საჭირო.**

**– როგორც ჩვენთვის ცნობილია, დახურულ შეხვედრაზე გითხრეს, რომ , 2017 წლის ნოემბრის არჩევნების შემდეგ ქართული ოცნების" არა ერთ წევრს და მხარდამჭერს დაატოვებინეს სამსახური., როგორც მუნიციპალიტეტის მერიაში, ისე ა(ა) იპ-ებში. ზოგმა მოიგო სასამართლო პროცესი, მაგრამ დღეს ისინი სამსახურში არ არიან. .**

– როცა უკანონოდ ხდება სამსახურიდან გათავისუფლება, „ქართული ოცნების" მხრიდან იქნება ეს გადაცდომა, თუ სხვა პარტიის, ამას მნიშვნელობა არ აქვს, არსებობს სასამართლო. მე აქ არ ვარ პარტიული შეფასებებისთვის ჩამოსული – ეს ერთი; მეორე – მე ვარ „ქართული ოცნების" წარმომადგენელი; და მესამე – საკითხი არის ის, რომ „ქართული ოცნების" წარმომადგენელს ამ არჩევნებში არ გაუმარჯვია – ოზურგეთის მერი ხალხმა აირჩია. გაიმარჯვა ადამიანმა, რომელიც მუშაობს, ბევრი ადამიანი ჰყავს კმაყოფილი, ბევრიც – უკმაყოფილო, მაგრამ ასეთი რამ არ ახასიათებს მარტო ოზურგეთის მუნიციპალიტეტს. გაიმარჯვა, ხალხმა მხარი დაუჭირა და გადაწყვეტილება მიიღო ისე, როგორც თვითონ ჩათვალა საჭიროდ. მე მის პარტიულ პასუხისმგებლობას ვერ დავაყენებ. მით უმეტეს, ვერც შეფასებას გავაკეთებ. შეფასება უნდა გააკეთოს სასამართლომ, თუ უკანონოდ არის ვინმე გათავისუფლებული. მე ვიტყვი, რომ **„ქართული ოცნების" პარტიული ორგანიზაცია ოზურგეთში, - ხაზგას-მით ვამბობ, - არის საკმაოდ ძლიერი, საკმაოდ ინტელექტუალური**, და კარგი იქნება, თუ ყველგან მეტი შეთანხმებულობით იმუშავებენ. თუმცა, იქ არის ან შეიძლება იყოს, ისე როგორც ყველგან, რაღაც შიდა დაპირისპირებები. ასეა ყველგან – ამერიკაშიც და ავსტრალიაშიც და უარესი დაპირისპირებებიც არსებობს, ვიდრე საქართველოში, მაგრამ მთავარია, რომ ყველამ აიღოს ერთი მთავარი მიზანი და მთავარი ამოცანა დაისახოს – ემსახუროს ხალხს. ხალხისთვის გაწეული სამსახური არის ის ამოცანა, რაც აქვს შესასრულებელი ყველას და არჩევნების დროს, ხალხი ამას შეაფასებს.

# ცნობად მიიღეს ბიუჯეტის შესრულების II კვარტლის ანგარიშის მიმოხილვა



**ალიონი.** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4 სექტემბრის სხდომაზე ცნობად მიიღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების II კვარტლის ანგარიშის მიმოხილვა.

დამტკიცებულ ბიუჯეტში II კვარტლის განმავლობაში განხორციელდა 2 ცვლილება: პირველი – საკრებულოს 9 იანვრის №1 დადგენილებით ცვლილება შევიდა სოციალური პროგრამებიდან დახმარებების გაცემის წესში. დამტკიცებული ბიუჯეტი არ გაზრდილა; მეორე – საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის №8 დადგენილებით, დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 2018 წლიდან გარდამავალი ნაშთებით და საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხებით.

სულ შემოსავლებისა და გადასახდელების ნაწილში ბიუჯეტი გაიზარდა 16 154 702,43 ლარით.

II კვარტლის შემოსულობებმა, 2018 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე, შეადგინა 17 797,4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 54,04 პროცენტი.

შემოსავლების წლიური გეგმა, ტრანსფერის გარეშე, შესრულებულია 74,48%-ით

ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა დაზუსტების შემდეგ შეადგენს 40341,5 ათას ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა II კვარტლის მდგომარეობით შეადგინა 16 123,7 ათასი ლარი. ჭლიური გეგმის 39,96%.

სხდომაზე მიიღეს დადგენილება საკრებულოს „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ დებულების შესახებ საკრებულოს 7 მარტის №24 დადგენილებაში ცვლილების შესატანად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მიიღეს განკარგულება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“; ასევე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ“ – საკრებულოს 2019 წლის 3 ივლისის №48 განკარგულებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

შესაბამისი განკარგულება მიიღეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხზეც – „ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს მიერ მიღებული „ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ შეთანხმებაზე ხელმოწერის და მასზე შეერთების შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიღების თაობაზე“.

ორიგინალური გამოდგა სხდომის დასკვნითი ნაწილი, სადაც პროექტით „თვითმმართველობა განათლებისათვის“ შედგა **TV** მეორეს საინფორმაციო პროგრამა „დღის ამბების“ პრეზენტაცია.

# ინფრასტრუქტურული სამუშაოები მიმდინარეობს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 19 საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.

სამუშაოები დღეს გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის პირველმა მოადგილემ, აკაკი შენგელიამ, ოზურგეთის მერის მოადგილესთან ოსიკო თოთიბაძესთან ერთად დაათვალიერა.

ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საკლასო ოთახები, სპორტ დარბაზები და სველი წერტილები მოეწყობა.

პროექტების ჯამური ღირებულება 1 010 000 ლარს შეადგენს. სამუშაოები სწავლის დაწყებამდე დასრულდება და სასწავლო პროცესი 16 სექტემბერს განახლდება

# ინტერნეტ-ტელევიზია „TV მეორეს“ პირდაპირი ეთერი საკრებულოს სხდომათა დარბაზიდან

**ალიონი.** უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა 4 სექტემბერს ოზურგეთში: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დასასრულს, ინტერნეტ ტელევიზია **TV** მეორემ, საკრებულოს ახალი პროექტის – „ჩვენით შექმნილი მომავალის“ ფარგლებში, დარბაზიდანვე, პირველი პირდაპირი ეთერი განახორციელა. გადაცემის წამყვანმა და ხსენებული ინტერნეტ- ტელევიზიის დამფუძნებელმა, სოფელ შრომის საჯარო სკოლის მეექვსეკლასელმა **ავთო ხომერიკმა** საინფორმაციო პროგრამაში „დღის ამბები“, დიალოგები გამართა პროექტის ინიციატორებთან – საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონ **დავით დარჩიასთან** და ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის მოადგილე **მარიკა ჩხიკვიშვილთან:** პროგრამაში თბილისიდან პირდაპირ ჩაერთო საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მეცნიერების, კულტურის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე **გიორგი კილაძე.** გადაცემის სტუმარი იყო წმინდა ნინოს სამრევლო სკოლის კურსდამთავრებული და თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტი ასპროცენტიანი სახელმწიფო გრანტით **ნინო ჩხიკვიშვილი,** რომელსაც განათლებაში მიღწეული შთამბეჭდავი შედეგებისთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტი გადასცემს 3000 ლარს, ხოლო მის აღმზრდელ სკოლას – 1000 ლარს. სპორტული სიახლეები ინტერნეტ ტელევიზიის მაყურებლს გააცნო **TV** მეორეს სპორტულმა კომენტატორმა, სო-ფელ შრომის საჯარო სკოლის მეშვიდეკლასელმა **ლევან ბოლქვაძე**მ. გადაცემის წამყვანმა პირდაპირ ეთერში ცოცხალი ყვავილების თაიგულით დაბადების დღე მიულოცა მარიკა ჩხიკვიშვილს.

თემატურად მრავალფეროვან, სტრუქტურულად რთულ და ქრონომეტრაჟით საკმაოდ ხანგრძლივ პირდაპირ ეთერს გადაცემის წამყვანმა ისე გაართვა თავი, როგორც მაღალი დონის პროფესიონალმა.

ინტერნეტ-ტელევიზია **TV** მეორე, რომლის დამფუძნებელი, დირექტორი, პროდიუსერი, რეჟისორი და რედაქტორი ავთო ხომერიკია, უკვე ორი წელია მაუწყებლობს.

**მარიკა ჩხიკვიშვილის** თქმით, *„ჩვენით შექმნილი მომავალი“ ნიჭიერი მოსწავლე ახალგაზრდობის აღმოჩენას ემსახურება, რომელთა საქმიანობას და თვითშემოქმედებას საკრებულო „თვითმმართველობა განათლებისათვის“ ფარგლებში წარმოაჩენს და პოპულიზაციას უწევს. სწორედ ასეთი ახალგაზრდები არიან ავთო ხომერიკი და ნინი ჩხიკვიშვილი.“*

საგანმანათლებლო პროექტი „თვითმმართველობა განათლებისათვის“, რომლის მიზანი „მოქალაქეობრივი ცნობიერების პროცესში სასკოლო (სამოქალაქო) განათლების ხელშეწყობაა“, სამომავლოდაც საინტერესო ღონისძიებებს გეგმავს.

# „მონიშნული“ გომისმთა, ანუ ახალი „კლონდაიკი“ აჭარა-გურიის მთებში




გომისმთაზე —უკანონო მშენებლობების ბუმი და თვალშისაცემი სხვაობა მეზობელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შესაძლებობებს შორის“ (ჩვენ ამ თემაზე შემდეგაც ვწერდით გაზეთის ვებ.გვერდზე **ALION.GE**, ფეისბუქგვერდზე „გაზეთი ალიონი“) არათუ შეამცირა უკანონო მშენებლობების რაოდენობა, არამედ გაასამმაგა. ამის მიზეზი? „მოვასწროთ“ ან „მიდი დროზე ჰქენი“... მედიის აქტიურობამ ვერ შეაჩერა ქაოსური მშენებლობები, მხოლოდ ის ნაყოფი გამოიღო, რომ გავრცელებული ინფორმაციით, თუ ივლისის დასაწყისში ერთი სამოსახლო 1000 ლარის ფარგლებში ღირდა, ახლა 5 000 ლარს აჭარბებს. ამიტომაცაა, რომ მიწის ნაკვეთების მსურველები „დროულად“ ცდილობენ სასურველი ნაკვეთის „დაკოლვა“– ჩაბეტონებას, რომ მომავალ წელს უფრო სარფიანად გაყიდონ.

გასულ ოთხშაბათს, შემთხვევით მოწმე გავხდი იმისა, თუ როგორ მონიშნა კურორტის ცენტრში სახლის დასადგმელი ფართობი **„Toyota RAV4 L**“-ის მეპატრონემ.

–1983 წელს შემდეგ აქ არ ვყოფილვარ. აქ ბაბუას ედგა სახლი. სხვები ისე ნიშნავენ და მე ბაბუასეული რატომ უნდა დავკარგო – თქვა შუახნის მამაკაცმა და მთელი ძალით დასცხო ნაჯახის ყუა თხილის სარს.

დღის განმავლობაში რამდენიმე პირი ეძებდა კურორტის უფროსს.

–ხომ არ იცით, სად ვნახოთ ზურაბ ჩხარტიშვილი? –ჩვენ შეგვეკითხა მეზობელი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მცხოვრები... სამწუხაროდ, დღის განმავლობაში ჩვენ ვერ შევძელით მისგან კურორტზე არსებული ვითარების შესახებ კომენტარის ჩაწერა. ამ დღეს გომისმთაზე წმ. იოანე თეზბიტელის ტაძრის მშენებლობაზე საძირკვლის გამაგრების მიზნით ბეტონის დუღაბს ასხამდნენ...

გვინდა აღვნიშნოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის განყოფილების ახალგაზრდა თანამშრომლების ზაზა მენაბდის, ბორის შავიშვილის და შემოქმედის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის თანაშემწის გოჩა ბურჭულაძის შესახებ, რომლებიც კურორტზე არსებული ნაგებობების დანომვრას, ფოტო გადაღებას და მათი მეპატრონეების დადგენას აწარმოებენ. ისინი ყოველგვარ ამინდში მუშაობენ მათ უკვე 600 სახლზე მეტი აქვთ დანომრილი.

ჩვენ კითხვითი ნიშნები ვახსენეთ სტატიის დასაწყისში. მოვიყვანთ მაგალითს.

1990 წელს, იმჟამად არსებული წესების დაცვით, სოფელ ლიხაურში მცხოვრებმა ქეთევან რუსიეშვილმა კურორტზე აიღო მიწის ნაკვეთი და იმ დროისათვის ძალიან კარგი კოტეჯი დადგა. მომდევნო წლებში ქვეყანაში სიტუაცია შეიცვალა, კურორტზე დაიწყო სახლების მოპარვა-დაწვის პროცესები.





საშიშროება შეექმნა ქეთევანის სახლსაც, ამიტომ იგი იძულებული გახდა, რომ დაეშალა და სოფელში ჩაეტანა კოტეჯი. ადგილზე დარჩა ჩაბეტონებული ასბესტის ბოძები და კიბე, თუმცა ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები მას ნომერს ვერ მიანიჭებენ, რადგან ის სახლის თუნდაც კარკასი არ დგას.

სამაგიეროდ ნომერს მიიღებენ ისინი, ვინც ადგილობრივი ხელისუფლების წახალისებით ან თვალის დახუჭვით სწრაფ ტემპში აგებენ კოტეჯებს. დღეს გომისმთაზე ეკონომიკურად შეძლებული და ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანების „გრიალია“.

–არ ვიცით, ვინ აშენებს ამ სახლს. ჩვენ დაქირავებული ხელოსნები ვართ და მეპატრონის მხოლოდ სახელი ვიცით,– გვითხრა ერთ-ერთი სახლის მშენებლებმა ცენტრთან ახლოს. ასეთი „ვერმიცანა“ მეპატრონეები ბევრია გომისმთაზე. მხოლოს ისინი გვეუბნებოდნენ ვინაობას, ვისაც აქ საგარაკო სახლი ედგა და ახლა ახალს აგებდნენ.

ერთ-ერთ „მოაგარაკეს“ კურორტის გამოღმა და გაღმა მხარის გასაყარზე პირდაპირ კურორტის წყალმომარაგების მთავარი მაგისტრალი ჭასთან დაუდგამს სახლი,(?!) ხოლო მეორეს გაღმა მთის შუაგულში. ასეთი განაშენიანება კი პრობლემებს შეუქმნის ზამთრის კურორტზე ჩამოსულ მეთხილამურეებს, ექსტრემის მოყვარულებს.

ჩვენ არ ვიცით, კონკრეტულად ვინ იღებს ფულს გომისმთაზე გაჩაღებულ მშენებლობებში, მაგრამ ვხედავთ ერთს– ხელისუფლება ვერ აკონტროლებს კურორტზე არსებულ სიტუაციას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის კომისიის რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის მერიისაგან გათვალისწინებული არ არის. ასეთი თავხედობა და განუკითხაობა, რაც ამჟამად კურორტზეა, მათგან პასუხებს ითხოვს.

–ახლა ქვეყანაში ქაოსია. ვის სცალია გომისმთისთვის. დასრულდება სამთავრობო ცვლილებები და ალბათ მოკითხავენ ზოგ-ზოგს, – გვითხრა ერთ-ერთმა დამსვენებელმა, რომელიც კურორტის შემაღლებულ ადგილას წმიდა იოანე თეზ ბიტელის სახელობის ტაძრის ფუნდამენტის გამაგრების სამუშაოებში მონაწილეობდა.

**ნუგზარ ასათიანი**

# „ეს არის კატასტროფიული მდგომარეობა, რომელიც ამჟამად არის გომისმთაზე“




–„მე ახლა პირდაპირ გომისმთიდან მოვდივარ.. ეს არის კატასტროფიული მდგომარეობა, რომელიც ამჟამად არის კურორტზე – წვიმის შემდეგ სოკოებივით ამოსული ქაოსური, უსახური, კანონის დარღვევით, ავაზაკური მშენებლობები. არც ერთ მოქალაქეს მშენებლობის ნებართვა არ აქვს. ხელისუფლება ამაზე თვალს ხუჭავს და ეს ქმედება არის წახალისებული“–განაცხადა გასულ სამშაბათს, ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში აჭარა-გურიის რეგიონების ჟურნალისტებთან საგანგებო ბრიფინგზე „ბახმაროსა და გომისმთის განვითარებისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის საზოგადოების“ თავმჯდომარე **არმაზ ახვლედიანმა.**

გომისმთაზე აღვირახსნილი უმსგავსოება არის ქვეყანაში არსებული უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობის გამოძახილი. გადათხრილია ფერდობები, მწვანე ნარგაობა. ეს ხდება როგორც საკურორტო ზოლში, ისე მიმდებარე ფერდობებზე– ვინ ვის მიასწრებს, ვინ რამდენს დაიტაცებს. რა თქმა უნდა, აქ დიდი კორუფციაა. საქართველოს ხელისუფლებას არ გააჩნია ნება, რომ ეს ქაოსი მოწესრიგდეს. მოვა დრო და ამისთვის პასუხს აგებენ –თქვა არმაზ ახლედიანმა.

არმაზ ახვლედიანმა მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შეაჩერონ უკანონო მშენებლობები.

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გომისმთაზე 80 - მდე უკანონო მშენებლობაა შეჩერებული. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიმდინარეობს სახლების აღწერა და ნუმერიაციის მინიჭება. ამჟამინდელი მონაცემებით აღწერილია 600-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი. ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები დღესაც ადგილზე იმყოფებიან! პროცესში ასევე ჩართულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელიც მონიტორინგს ახორციელებს. უკვე რამოდენიმე კვირაა მიმდინარეობს დაბეტონებული საძირკვლების ამოღება სპეცტექნიკის საშუალებით. გარდა ამისა, თვალსაჩინო ადგილებზე დამონტაჟდა გამაფრთხილებელი ბანერები, იმის შესახებ, რომ უკანონო მშენებლობის განმახორციელებელი პირები დაჯარიმდებიან „საქართველოს სივრცითი დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 131 მუხლის1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის მიხედვით 25 000 ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტი მისი კომპეტენციის ფარგლებში ყველაფერს აკეთებს გომისმთაზე სიტუაციის დასარეგულირებლად, ოზურგეთის საკრებულომ წერილით მიმართა საქართველოს მთავრობას გომისმთის შემოქმედის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოქცევის შესახებ, მუნიციპალიტეტმა ასევე, შეისყიდა გომისთის განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტი, რომლის დამტკიცების შემდეგ ამოქმედდება ახალი რეგულაციები!“–არმაზ ახვლედიანის ბრალდებების გარშემო ასეთი კომენტარი გააკეთა გაზეთ „ალიონთან“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პრესსამსახურის უფროსმა ეკატერინე მგელაძემ.

# საიმედო ხიდი საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის

## არასამთავრობო ორგანიზაცია მცირე ხნის ისტორიითა და შთამბეჭდავი შედეგებით

თემურ მარშანიშვილი



„გურიიის მედიატორთა ასოციაცია“ ის არასამთავ-რობო ორგანიზაციაა, რომელმაც, თავისი გაწონასწორებული, მშვიდი და ეფექტური საქმიანობით, საკმაოდ მოკლე დროში ავტორიტეტიც მოიპოვა და საზოგადოებისთვის სასურველი, რეალური შედეგებიც დადო.




როგორც „ალიონთან“ საუბარში ორგანიზაციის ხელმძღვანელი **მაკა ჩხარტიშვილი** ამბობს, „გურიის მედიატორთა ასოციაცია“ შეიქმნა 2011 წელს, ევროკავშირის მხარდაჭერით, პროექტის „დემოკრატიის სწავლების მოდელი“ ფარგლებში. პროექტის მიზანი იყო საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ჯანსაღი დიალოგის ჩამოყალიბება სამოქალაქო მონაწილეობის გზით. მას შემდეგ ორგანიზაციის წევრები წარმატებით ატარებენ მედიაციის პროცესებს და ასრულებენ მედიატორის როლს საზოგადოებასა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, რათა ხელისუფლებამ შეძლოს და საზოგადოებას მიაწოდოს გაუმჯობესებული, ეფექტური სერვისები ამა თუ იმ სფეროში. ასევე წარმართავენ მედიაციის პროცესებს მოქალაქეთა შორის სადავო საკითხებზე. დღეს ასოციაცია წარმოადგენს საინიციატივო ჯგუფებისა და სათემო ორგანიზაციების კავშირს, რომელთა ძირითადი საქმიანობა თემში მუშაობაა.

„გურის მედიატორთა ასოციაციის წევრი“ ახალგაზრდული სათემო ცენტრები შეიქმნა 2006 წელს „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ ხელშეწყობით „სოფლის განვითარების ქსელური პროგრამის“ ფარგლებში. ახალგაზრდული ცენტრების შექმნის მთავარი მიზანი იყო გურიის რეგიონის თემებში არსებული მძიმე ეკონომიკურ-სოციალური პირობების გაუმჯობესება, სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების გააქტიურება და მათი მობილიზება სოციალურ სფეროში სასურველი ცვლილებების ხელშეწყ-ბისთვის.

„გურიის მედიატორთა ასოციაციის“ ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციებიდან ჩანს, რომ საკმაოდ მოცულობითი და მრავალპროფილურია ახალგაზრდული ცენტრების ძირითადი საქმიანობები: კულტურულ-შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება; არაფორმალური განათლების უზრუნველყოფა (კომპიუტერის შემსწავლელი და ხელსაქმის კურსები); მოსახლეობისათვის სხვადასხვა სერვისების მიწოდება; მოსახლეობის ინფორმირება; საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა; ადგილობრივ თვით-მმართველობასთან თანამშრომლობა.

ერთობ მასშტაბურად გამოიყურება **2006-2009** წლებში ჩატარებული სამუშაოები, როცა ახალგაზრდულმა ცენტრებმა სამიზნე სოფლებში განახორციელეს 40-მდე ინფრასტრუქტურული პროექტი - საუბნო გზების მოხრეშვა, სადრენაჟე არხების გასუფთავება, საყანე ფართობებისა და სოფლის სასაფლაოს შემოღობვა, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარება და სხვა.

მკითხველი, რასაკვირველია, იცნობს სამიზნე თემებსა და ამ თემებში არსებულ სათემო ახალგაზრდული ცენტრებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, წინამდებარე საგაზეთო მასალაში აუცილებელია მათი სრული ჩამონათვალის შეტანა: „ბაია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბაილეთის თემი, „ჯუმა“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჯუმათის თემი, „კოხნარა“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კოხნარის თემი. ორგანიზაციას რეგიონის თითქმის ყველა თემში ჰყავს თავისი აქტივისტები.

2011- წლიდან დაივიწყეს მოღვაწეობა რეგისტრირებული არასამთავრობო ორგანიზაციის ეგიდით. ასოციაციამ განაგრძო თემებში არსებული სათემო ახალგაზრდული ცენტრების განვითარებაზე ზრუნვა, ახალგაზრდული ცენტრების მეშვეობით გააძლიერა ადგილობრივ თვითმმართველობასთან ურთიერთობები, აქტიურად ჩაერთო მოსახლეობის საჭიროებების კვლევებსა და მათი პრობლემების ადვოკატირების პროცესებში. დინამიკურად მიმდინარეობს ახალგაზრდული საქმიანობები, მოსახლეობის ინფორმირება მათთვის საინტერესო საკითხებზე, საგრანტო კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა, ასევე გაფართოვდა სამოქმედო არეალი, დღეს ორგანიზაციის საქმიანობებში ჩართულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 5 თემი (ბაილეთი, ჯუმათი, თხინვალი, მერია, ნატანები).

**„2011 წლიდან დღემდე ჩვენს სამიზნე თემებში განვახორციელეთ 3 სამწლიანი პროგრამა (დონორი ფონდი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“) და 12 პროექტი, რომლებიც შეესაბამებოდა ჩვენი ასოციაციის სტრატეგიულ მიზნებს (დონორები: ევროკავშირი, „ღია საზოგადოება საქართველო, ინოვაციებისა და რეფორმების ქსე-ლი და სხვა)**

**სამწლიანი პროგრამების ფარგლებში სათემო ცენტრებში განხორციელდა 200-მდე ახალგაზრდული ღონისძიება; მოგვარდა 90-მდე მწვავე პრობლემა, რომელიც გამოვლინდა ჩვენი კვლევებისშედეგად; ჩატარდა 20 ტრენინგ-სემინარი და გაიცა 1000-მდე სხვადასხვა ხასიათის კონსულტაცია; ასოციაციის ხელშეწყობით მოსახლეობამ მიიღო 10 მცირე გრანტი, ძირითადად მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის (ჯამში 40 000 ლარის ღირებულების).**

**შარშან კი, ასოციაციამ გააძლიერა გარემოს დაცვის მიმართულება. ჩვენს სამიზნე სოფლებში, საჯარო სკოლების ბაზაზე, შეიქმნა ეკოკლუბები. მათი ძირითადი საქმიანობებია ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული სადემონსტრაციო საქმიანობების ორგანიზება. გლობალური დათბობის საკითხებზე მოსახლეობის ინფო-რმირება და სხვა ღონისძიებების ორგანიზება. ეკოკლუბებმა ამ 2 წლის განმავლობაში მოიპოვეს დაფინანსება და განახორციელეს 4 პროექტი. (დონორი ფონდი „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“),** - გვითხრა მაკა ჩხარტიშვილმა.

ასოციაცია თავის სამიზნე თემებში წელიწადში ორჯერ აცხადებს კონკურსს „საუკეთესო ახალგაზრდული ინიციატივა“. ხდება კონკურსის შედეგად გამოვლენილი საუკეთესო ინიციატივის/პროექტის მხარდაჭერა. სულ განხორციელდა 12 მიკროპროექტი შემდეგ თემატიკებზე: ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა, გადამდები და ვირუსული ინფექციების პრევენცია, გარემოს დაცვა, სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების ინტეგრაცია და სხვ.

ორგანიზაციას აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მისიის განაცხადი და გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა, რომლითაც ხელმძღვანელობს თავისი საქმიანობების, პროექტების და ღონისძიებების დაგეგმვისას. ჰყავს 5 სათემო კოორდინატორი, 5 - ეკოკლუბის ხელმძღვანელი და 50-–მდე - აქტიური მოხალისე. გურულ მედიატორებს სურთ, რომ რეგიონში ჩამოყალიბებული იყოს მაღალი პასუხისმგებლობის მქონე, ინფორმირებული და განათლებული სამოქალაქო საზოგადოება, მოსახლეობა იყოს სოციალურად უზრუნველყოფილი და დასაქმებული, დაცული იყოს მისი უფლებები.



„გურიის მედიატორთა ასოციაციის“ მისიაა, რეგიონის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრები მოსახლეობის, ცნობიერების ამაღლება, მათი უფლებების დაცვა, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.



**„ამ მიზნით განვახორციელებთ საგანმანათლებლო და მოსახლეობის ინტერესთა დაცვაზე მიმართულ პროექტებს/ღონისძიებებს, შევთავაზებთ მოსახლეობას საჭირო სერვისებს და უზრუნველ-ვყოფთ ადგილობრივი ინტერესების გათვალისწინებას გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.**

**ვხელმძღვანელობთ რა, ურთიერთპატივისცემის და გუნდურობის, გენდერული თანასწორობის და ასევე მოსახლეობის აზრის გათვალისწინების და ჩართულობის პრინციპებით, გვჯერა, რომ მხოლოდ უკეთ ინფორმირებული და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოება შეიძლება გახდეს ქვეყნის განვითარების საწინდარი.**

**ასოციაციის სადღეისო მიზნებია: სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; საზოგადოების სამოქალაქო ცნობიერების ზრდა; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა; საზოგადოებრივი ცნობიერების ზრდა დაემორჩილონ კანონს; არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა; თემის მობილიზება და სათემო მოძრაობის განვითარება; მოსახლეობის შესაბამისი ინფორმაციებით უზრუნველყოფა; გარემოს დაცვა და ეკოლოგიური უსაფრხოების ხელშეწყობა; სოციალური პრობლემების შესწავლა...** - დასძინა „ალიონთან“ საუბარში მაკა ჩხარტიშვილმა.

ერთი სიტყვით, ამ არც ისე დიდი ხნის ისტორიის მქონე ორგანიზაციას - „გურიის მედიატორთა ასოციაციას“, თავისი მრავალმხივი და პერსპექტიული საქმიანობით, დღეს უკვე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს იმ „ცოცხალი სამკუთხედის“ შენებაში, რასაც საზოგადოება, ხელისუფლება და არასამთავრობო სექტორი ჰქვია. ამ სამკუთხედის სიმტკიცეზე რომ დიდად არის დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

# „გამარჯვებას იქ, ქვემოთ აღნიშნავენ“, ანუ ალპინიზმი უმაყურებლო სპორტია

## (თამაზ ბაქანიძის ხსოვნას)



ვანო ჯაფარიძის ფოტო

2019 წლის 8 ივლისს გარდაიცვალა ცნობილი მთამსვლელი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანების მკვიდრი თამაზ ბაქანიძე. იგი არა მარტო მთამსვლელი, უძლიერესი მეკლდეურიც იყო. მიხეილ ხერგიანთან ერთად ვარჯიშობდა კლდეზე ცოცვაში და იმ გუნდის წევრი იყო, რომელმაც მიხეილ ხერგიანის თაოსნობით 1965 წელს პირველი ადგილი მოიპოვა იალტაში ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

მის ალპინისტურ მოღვაწეობაში მძიმე მოგონებებიც იყო...

1963 წლის 27 აგვისტოს იგი გურამ თიკანაძის მეწყვილე იყო შხარაზე ტრაგიკული ასვლისას. ასევე ძალზე მტკივნეული იყო მისთვის 1984 წლის ზამთრის ასვლა მწვერვალ უშბაზე, როცა დაშვებისას ჯგუფის ხელმძღვანელ ირაკლი გელდიაშვილთან ერთად გოგი ზუმბაძე, დევი თარხნიშვილი, დათო კობახიძე, გია ტუშური, მურად ჭიჭინაძე ზვავმა ჩაიტანა (თამაზ ბაქანიძის ეს მოგონება პირველად 1997 წელს დაიბეჭდა გაზეთ „ალიონის“ ფურცლებზე)...

მეორე ჯგუფში ხუთიდან სამი გურულები იყვნენ - თამაზ ბაქანიძე, დიმიტრი და თამაზ შარაშენიძეები.

პირველი ჯგუფი ირაკლი გელდიაშვილის ხელმძღვანელობით 27 თებერვალს ავიდა უშბაზე, მეორე— 28 თებერვალს.



თამაზ ბაქანიძე, ნუგზარ ასათიანი, რევაზ ცქვიტინიძე (მწვერვალი ორწვერი, 19 აგვისტო, 1997 წ. შოთა ცხომელიძის ფოტო).

*—„ჩვენი ჯგუფის ხუთეულის ბიჭები საღამოსკენ ისევ იმ კარავს დაუბრუნდნენ კედლის თავში, წინა ღამე რომ გაათენეს...დაღლილები კი ვიყავით, მაგრამ არ დამეძინა, რაღაც არ მომწონდა ან იქნებ გული მიგრძნობდა კიდეც ცუდს. ვარსკვლავებით მოჭედილი ცა იყო, ქვემოთ კი ლამპრებით დადიოდნენ. ვერ ვხვდებოდი, რა ხდებოდა. ჩვენ რაციით ბანაკთან კავშირზე გავედით, მაგრამ იმ დღეს არაფერი უთქვამთ, ალბათ გაგვიფრთხილდნენ მთაზე მყოფებს. მხოლოდ მეორე დღეს დაგვი-კავშირდნენ: ბიჭებო, გენაცვალეთ, თქვენ მაინც იარეთ ფრთხილად! ბიჭები აღარ არიანო... მერე ჩვენც მოგვიწყდა ზვავი და იღბლად გადავრჩით.. ეს უდიდესი ტრაგედია იყო ჩემთვის“* - იგონებდა 1997წელს ტურისტულ-ალპინისტური საზოგადოების გაზეთ„გურიის მთებთან“ ინტერვიუში თამაზ შარაშენიძე.

„შხარასთან“ და „უშბასთან“ შედარებით „ორწვერი“ ერთი უწყინარი მწვერვალია, მაგრამ 1997 წლის 19 აგვისტოს ასვლა ამ მწვერვალზე თამაზ ბაქანიძისათვის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი იყო. მის გვერდით ხომ ამჯერად გამოუცდელი, მოყვარული მთამსვლელები იყვნენ, რომელთა ბანაკში მშვიდობიანი დაბრუნება ასეთ ცუდ ამინდში, მის გამოცდილებაზე იყო დამოკიდებული.

მახსოვს, რთული ამინდი იყო. ქედს რომ მივადექით, ამინდი გაუარესდა. მწვერვალზე ასვლის ჟინმა დაგვძლია და თამაზი დავიყოლიეთ გზა გაგვეგრძელებინა.

ისეთი ჯანღი იყო ჩაწოლილი, რომ მწვერვალზე 10 მეტრშიც კი არაფერი ჩანდა. ჩვენ მაინც აღვმართეთ გამარჯვების ნიშნად წერაყინები. სიხარულისაგან ვყვიროდით, გვსურდა ერთმანეთისათვის მიგველოცა მაგრამ თამაზმა გაგვაჩერა:

—„მილოცვა ქვემოთ, მშვიდობიანად რომ ჩავალთ, იქ იქნება“...

მართლაც რთული დაშვება გვქონდა. შემდეგ თამაზს ამის გამო საყვედურობდენ კიდეც ალპურ კლუბში.

წელს ზაფხულში აჭარა-გურიის მთებში კვლავ უნდა წავსულიყავით. დაგვპირდა, იქ, დაწვრილებით მოგვითხრობდა უშბის ტრაგედიის დეტალებს. თუმცა ეს არ შედგა. ამჯერად გთავაზობთ მასთან გაზაფხულის დასაწყისში ჩაწერილ ბოლო ინტერვიუს, სადაც იგი მისი ცხოვრების ბოლო წლებზე მოგვითხრობდა.

მიუხედავად ასაკისა, თამაზ ბაქანიძეს კვლავ მთებისკენ მიუწევდა გული.

* * *

*—2015 წელს გერმანელ ექიმთან ერთად ავედი მყინვარწვერზე. მას შვილი დაეღუპა ალპებში და ეს ასვლა მის ხსოვნას მიუძღვნა.*

*აგვისტოს ბოლო იყო. მთელი დღე ვიარეთ. საღამოს ავედით მწვერვალზე. დაახლოებით ნახევარი საათი დავყავით იქ. თქვენს ნაცნობ „ორწვერს“ და სხვა მწვერვალებს გადავავლეთ ზემოდან თვალი და დაშვება დავიწყეთ. პლატომდე ჩამოვედით. შემდეგ სვლა სახიფათო იყო და პლატოზე ჩამოვჯექით. ფეხები ზურგჩანთებში ჩავაწყვეთ და ასე გავატარეთ ღამე. მე გერმანულს კარგად ვფლობ და ჩემი მეწყვილე ღამით მის შვილზე მიყვებოდა...*

*მეტეოსადგურში მყინვარწვერის პლატოზე მდებარე წმ. მარინას ტაძრის მოძღვარი მამა ლუკა (სახელაშვილი) დაგვხდა. კარგი შეხვედრა შედგა. ის გერმანელი ექიმი შემდეგაც იყო ჩამოსული. ამჟამად მიწერ-მოწერა გვაქვს.*

*მომდევნო წელს ცნობილ კინორეჟისორ და მსახიობ ავთო ჩხიკვიშვილთან ერთად ავდიოდი მწვერვალზე.*

*თავდაპირველად ამინდს კარგი პირი უჩანდა, მაგრამ, შემდეგ გაფუჭდა, დავსველდით (თქვენ ამის გამოცდილება გაქვთ). კარავი გვქონდა, სადღაც ხმაურასა და მყინვარს შორის გავათიეთ ღამე. პატარ-პატარა ზვავები წამოვიდა. ჩვენს კარავს გვერდით ჩაუარეს.*

*დილითაც ცუდი ამინდი იყო. მხოლოდ დღის 2 საათისათვის შევძელით მწვერვალისაკენ წასვლა. ერთი საათი ვიარეთ. ამინდი კვლავ გაფუჭდა. იძულებულნი გავხდით უკან დავბრუნებულიყავით....*

*ყოველ წელს დავდივართ გუდაურში. ბიძინა გუჯაბიძე იქ სამაშველო სამსახურის უფროსია. იცით, ბიძინა ლანჩხუთელია, ძალიან ცნობილი მთამსვლელი. 4-ჯერ 8-ათასიანი მწვერვალი აქვს გაკეთებული. ევერესტზე (8848 მ.) სამხრეთის მხრიდანაც ავიდა და ჩრდილოეთიდანაც: იყო ჰიმალაების ერთ-ერთ ურთულეს მწვერვალზე —დჰაულაგირზე (8167მ.); ჩო-ოიუ-ზე (8201მ);*

*ბიძინა გუჯაბიძე ამ რამდენიმე წლის წინათ მწვრვალ ნანგა-პარბატზე (8126 მ.) ასვლისას სასწაულად გადაურჩა სიკვდილს. ეს მთა პაკისტანის ტერიტორიაზე, ყარაყორუმში მდებარეობს.*

*პაკისტანელმა თალიბებმა ნანგა-პარბატის საბაზო ბანაკში 11 უცხოელი მთამსვლელი ჩაცხრილეს.*

*ამ დროს ბანაკში არ იმყოფებოდნენ ქართველი მთამსვლელები ბიძინა გუჯაბიძე და აფი გიგანი, რომლებიც 6100 მეტრის სიმაღლეზე იმყოფებოდნენ და თავდამსხმელებმა იქამდე ასვლა ვერ შეძლეს.*

*რეგიონში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა და ნანგა-პარბატის ყველა ექსპედიცია შეწყდა. პაკისტანელმა სამხედროებმა გადარჩენილი მთამსვლელები საკუთარ ქვეყანაში დააბრუნეს. ამიტომ იყო, რომ ბიძინა გუჯაბიძემ ვერ შეძლო ნანგა-პარბატზე ასვლა. ამ მწვერვალზე აფი გიგანია ნამყოფი.*

*ახლა ჩემს გუდაურის თავგადასავლებს დავუბრუნდები.*

*შარშანწინ (2017 წ.) მარტის ბოლოს ვესტუმრე ბიძინას გუდაურში. მარტის ბოლო რიცხვები იყო. ჩემი წამოსვლისას, დილით, ბიძინამ ჯგუფი წაიყვანა მყინვარწვერზე. მე 3 საათისათვის უნდა გავყოლოდი გუდაური-თბილისის ავტობუსს. ვიფიქრე კიდევ ერთხელ დავეშვები თხილამურებით-თქო. დავეშვი, მოხვევის დროს დავვარდი. წამოდგომა ვცადე, ვხედავ მარჯვენა ფეხი მაქვს მოტეხილი... გამიჭირდა, მაგრამ საბაგიროს ზემო სადგურამდე მივედი.*

*მთამსვლელების დიდი მეგობრის ვახტანგ ქირიკაშვილის ვაჟმა სამთო მოტოციკლით ჩამომიყვანა ქვემოთ. თხილამურები მოვიხსენი, ტურისტული „ბათინკები“ გადავიცვი. „ხიჟინაში“ ჩავედით. მოტეხილობა დადასტურდა. სასწრაფო-სამედიცინო ბრიგადამ ღამის 1 საათზე ჩამიყვანა ქ. თბილისში, რესპუბლიკურ საავადმყოფოში...*

*შემდეგ ბიჭიკო ასკურავამ მიმკურნალა და შარშან კიდევ დავდექი თხილამურებზე და 2-ჯერ ვიფრინე პარაპლანით.*

*მეორე დაშვება მაშველების ქოხთან მომიწია. გაუხარდათ ჩემი ნახვა, რესტორანში წამიყვანეს.*

*შემდეგ მათი დახმარებით მე-2 საბაგიროს ზემოთ „კუდებზე“ ავედით და იქიდან პარაპლანით უფრო შორს დავეშვი.*

**—თქვენი სპორტული წარმატებების შესახებაც საინტერესო იქნება მკითხველთათვის გაცნობა.**

*—მეკლდეურულობაში 1965 წელს მიშა ხერგიანის გუნდთან ერთად გავხდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.*

*1976 წელს ალპინიზმში გავხდი სსრკ-ს ჩემპიონი. ტიან-შანში მწვერვალი „ჯიგიტის კედლის“ ყველაზე რთული გზით გავლისთვის მივიღეთ ოქროს მედლები, რისთვისაც 10 დღე დაგვჭირდა.*

*სამი წლის შემდეგ კი პამირში, ავღანეთის საზღვართან, ჯგუფური ასვლა განვახ-ორციელეთ მე-6 კატეგორიის სირთულის „ზუგვანდის სარკეზე“. 14 დღე-ღამის განმავლობაში მივდიოდით მწვერვალისაკენ. აქედან 7 ღამე ფეხზე მდგომებმა, დაკიდულებმა გავათენეთ, ხოლო 5-ჯერ ჩამოჯდომა და ნახევრად წოლა მოვახერხეთ.*



მიშა ხერგიანი, ტარიელ ლუკაშვილი, გიგლა წიკლაური, რომა გიუტაშვილი, თამაზ ბაქანიძე, ანატოლი მატუა. ზამთრის ასვლა სუ-არიკზე. 1965 წ. (წიგნიდან „კაცი ლეგენდა);

*1977 წელს გივი ქართველიშვილის ჯგუფმა, რომელშიც მეც ვიყავი, ბრინჯაო დაიმსახურა აბალაკოვის პიკზე ასვლისათვის.*

*კიდევ ერთხელ გვქონდა მორიგი ჩემპიონობის მოპოვების შანსი, მაგრამ ამინდის მკვეთრი გაუარესების გამო მწვერვალის მისადგომებიდან უკან დავბრუნდით.*

**—როგორც ვიცით, თქვენ პროფესიით მხატვარი ხართ და თქვენი მთის ჩანახატები დიდი პოპულარობით სარგებლობს. თქვენ გერმანიაშიც ხატავდით. რა კავშირები გაქვთ ამ ქვეყანასთან.**

*—მე გერმანულ ენას კარგად ვფლობ. ინგლისურიც ვიცი, რაც ძალიან მნიშვნელოვანია მთაში ყოფნისას.*

*წლების წინ კრუპსკაიას პიკზე ავდივართ. ჩვენს ბანაკთან 3 გერმანელი მთამსვლელი ჩამოჯდა. სწრაფად შედგა კონტაქტი. სადილზეც დავპატიჟეთ. ისინი ჩვენთან ახლოს საერთაშორისო ბანაკში იყვნენ. შემდეგ კვლავ მოგვიწია კონტაქტი. დავმეგობრდით. მიმოწერა გვქონდა.*

*3-ჯერ გამომიგზავნეს ვიზა გერმანიიდან. უსახსრობის გამო ვერ შევძელი წასვლა. ბოლოს, 2000 წელს 500 დოლარი გამომიგზავნეს სამგზავროთ. 200 ლარი სახლში დავტოვე და სტამბულის გავლით ავტობუსით გავემგზავრე მიუნხენში.*

*აინშტაინის ქალაქ ულმში ჩავედი, ბადენ-ვიუტერბერგის მხარეში. აქაა ევროპაში ყველაზე მაღალი გოთური ტაძარი (მე-12 მე-15 საუკ.). პორტრეტებს ვხატავდი. თითო ნახატში 30-დან 100-მარკამდე მიხდიდნენ. ულმი სამდინარო ნავსადგურია და აქ დუნაის ნაპირებზე ველოსიპედებით სეირნობდნენ.*

*ჩემი ერთ-ერთი მასპინძელთაგანი ჰარმან ბული ყარაყორუმში, ნანგა პარბატზე იყო ნამყოფი. გერმანიიდან ავსტრიაში გადავედი. აქ ერთ-ერთმა მთამსვლელმა მიმიღო, რომელთან ერთადაც ვიყავი მყინვარწვერზე. 5 დღე სასტუმროში გავატარე, 3 დღე კი მასთან ვიყავი სტუმრად სახლში, ინსბრუკში. ვიმოგზაურე. შემდეგ ისინი ჩვენთან ჩამ-ოვიდნენ. გივი ქართველიშვილმა გვიშოვა ბინა.სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარდა, საქართველოს ყველა კუთხე მოვიარეთ. როცა იგებდნენ მთამსვლელები ვიყავით, სადაც მივედით ფულს არ გვართმევდნენ.*

**—ბატონო თამაზ, თქვენი თაობის მთამსვლელები საბჭოთა ბარიერების გამო ჰიმალაების და ყარაყორუმის მწვერვალებზე ვერ ავიდნენ. ვის დაგვისახელებდით მომდევნო თაობიდან?**

*—ჩვენს თანამემამულე ბიძინა გუჯაბიძეზე ვისაუბრეთ. შემდეგ, პირველ რიგში რომან გიუტაშვილს. ჩვენ ერთად დავძლიეთ პამირის მთებში „ზუგვანდის სარკე“ და ჩემპიონის ოქროს მედლებიც მივიღეთ. რომა 1991 წელს ამერიკელ მთამსვლელ დანიელ მაზურთან ერთად ავიდა ევერესტზე.*

*რომანს პამირიდან მოუწია პირდაპირ ჰიმალაებში ჩასვლა. მას ნეპალში ჩვენი თანამემამულე, ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომიდან თალიკო კუბუსიძე დაეხმარა და დამოუკიდებელი საქართველოს დროშა შეუკერა. ქალბატონი თალიკო იქაა გათხოვილი და მისი მეუღლე ნეპალის სამეფო ტელევიზიის ოპერატორია.*

*1999 წლის 12 მაისს აფი გიგანი, ბიძინა გუჯაბიძე, ბენო ქაშაკაშვილი, ლევ სარქისოვი ევერესტზე სამხრეთის მხრიდან ავიდნენ... 26 მაისს ჩრდილოეთის მარშრუტით მერაბ ხაბაზი, ირაკლი უგულავა. ბიძინა გუჯაბიძე შემდეგში ჩრდილოეთის მხრიდანაც ავიდა ევერესტზე, (წელს მათ რიცხვს ავთანდილ ცინცაძე შეემატა —რედ.)*

*ამათგან ყველაზე რთული ასვლა რომან გიუტაშვილს ჰქონდა. მას ძალიან მწირი ფინანსური რესურსი ჰქონდა და ბევრ აუცილებელ რამეზე მოუწია უარის თქმა. თავდაპირველად შეუძლოთ მისი მეწყვილე, ამერკელი დანიელ მაზური იყო, მაგრამ 30 წლის მთამსვლელი რომამ დაარწმუნა, რომ მას მწვერვალზე ასვლა შეეძლო. მწვერვალზე ავიდნენ. (მათი ჯგუფიდან კიდევ 6 კაცი ავიდა) ჟანგბადის მარაგის ამოწურვის გამო რომა ცუდად შეიქნა. იგი თოვლში დაფლეს და ქვევით, ბანაკს შეატყობინეს. ღამის 1 საათზე გავიდა მაშველების პირველი ჯგუფი. ვერ ავიდნენ რომასთან, 2 საათის შემდეგ უკან დაბრუნდნენ. შემდეგ მაშველთა მეორე ჯგუფი გავიდა. უკრაინელი მთამსვლელი გვარად კაპიკა (ხარკოვი) ავიდა რომანთან. შემდეგ სხვებიც შეუერთდნენ. ჟანგბადის ბალონი აუტანეს და ცხელი ჩაიც დაალევინეს... რომა მაშველებთან ერთად დაეშვა ბანაკში....*

*გული მწყდება, რომ ჩვენი თამაზ შარაშენიძე („თოვლის ჯიქი“) ვერ მოხვდა ჰიმალაების მწვერვალებზე. იგი ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელია არა მარტო საქართველოში, მაგრამ იქ წასვლა მარტო ფიზიკურ მომზადებაზე არაა დამოკიდებული, სათანადო დაფინანსებაა საჭირო...*

აქ ჩვენი ინტერვიუ შეწყდა. გვითხრა, რომ მომდევნო თვეში კვლავ გვეწვეოდა „ალიონის“ რედაქციაში. მოსვლით ვერ მოვიდა, მაგრამ მობილურით 2-ჯერ დაგვიკავშირდა. უნდოდა მეტი ეთქვა გერმანელი მთამსვლელების გულისხმიერებასა და დახმარებაზე.

*—ვინმე არ გამოგვრჩეს. ზაფხულში საყორნიასთან, ჩვენი ნაცნობების, მესხიების კარავში კიდევ ჩავწეროთ...ბადრი ინგოროყვა მომიკითხეთ, ვერ მოვახერხე მისი ნახვა (ანსამბლ „შვიდკაცას“ წევრი ბადრი 1997 წელს კავკასიონზე ჩვენი ექსპედიციის წევრი იყო)...*

სამწუხაროდ თამაზ ბაქანიძე გარდაიცვალა.

ვფურცლავ წლების მანძილზე გაკეთებულ ჩანაწერებს და გული მწყდება ოზურგეთის საზოგადოებამ ერთხელაც ვერ მოუწყო შეხვედრა ასეთ ტიტულოვან მთამსვლელს, არ მიიწვია არც ერთ ტურისტულ ღონისძიებაზე.. ვერ მოვაწყვეთ მისი საინტერესო ნახატების გამოფენა...

მაგრამ თამაზ ბაქანიძის სახელი დაუვიწყარია ქართველ და უცხოელ მთამსვლელთა თაობებში - ალპინიზმი ხომ უმაყურებლო სპორტია.

**ნუგზარ ასათიანი**

## სულთათანა

# ჩემი გია გიგიბერიძე



2018 წლის წვიმიანი, მაგრამ თბილი სექტემბერი ჩემი მარტოობის დასაწყისი გახდა. ჩვენ ყველანი, როგორც იტყვიან, მიწის შვილები ვართ,მოვა დრო და მეც მოვალ.

2003 წელს შენთვის რაღაც დავწერე და ახლა ვაქვეყნებ:

* * *

*ეს რამოდენა ტვირთი აგკიდე*
*და ეწვალები, როგორც იობი,*
*მაგრამ იმედი მაინც დიდია,*
*უნდა გაუძლო, ჩემო გიორგი.*

*ენა რას აღარ იტყვის, ძმობილო,*
*ნუგეშიც ცემაც არის იოლი,*
*ცხოვრება მაინც სასურველია,*
*უნდა გაუძლო, ჩემო გიორგი.*

*- უნდა გაუძლო - უფალი ამბობს,*
*სულის წაწყმედა არ არის იოლი,*
*შენი მცდელობა მაგალითია,*
*უნდა ეცადო, ჩემო გიორგი.*

*შენი ფიქრები ზეცად მიდიან,*
*ხომ სეხნია ხარ წმინდა გიორგის,*
*უღელს ეწევი, როგორც ღვინია,*
*კეთილო ჩემო, ჩემო გიორგი.*

*გვერდით მიდგახარ, როგორც იმედი,*
*ხანჯალი - მტერზე მოღერებული,*
*მინდა, გიხილო გალაღებული,*
*ცელი - მინდორში ამღერებული.*

*ალესილ ფხაზე ისე შეგჭროდეს*
*შენი დარდი და შენი ვარამი,*
*ეწაფებოდე ღვთიურ ზედაშეს,*
*სუფრას იწყობდე ციურ მანანით.*

*თითქოს დავეცი და უღელს მარტო*
*მიაჭრიალებ წიქარა ხარი,*
*რქამოუმტვრევლად შემოგემტვრიოს*
*ნაოცნებარი ის მეცხრე კარი.*

*ვხედავ, აგკიდა ცხოვრებამ მძიმე*
*ტანტალოსის და ტვირთი იობის,*
*წყალობა უფლის იმდად გქონდეს,*
*კეთილო ჩემო, ჩემო გიორგი!*

*2003. 19. 08.*

*ღვთის წყალობით —*
*შეხვედრამდე.*
*შენი ბელა.*



# განცხადება

იყიდება ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ქ. ოზურგეთში, გამსახურდიას ქუჩაზე! თავისი ავტოფარეხით, ავეჯით, ტექნიკით! მსურველებმა დამიკავშირდით
591155757



## სამგლოვიარო განცხადებები

ოზურგეთის სასაპორტო სკოლის დირექცია, ოზურგეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების მშობლები და ფეხბურთელები თანაუგრძნობენ გუნდის მთავარ სპეციალისტს გოჩა კრასოტკინს ბიძის, **ელგუჯა სიხარულიძის** გარდაცვალების გამო.

ოზურგეთის სასაპორტო სკოლის დირექცია, ოზურგეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდების მშობლები და ფეხბურთელები თანაუგრძნობენ „მერცხალის" ყოფილ ფეხბურთელს, ხობელ ზურა (ჩუნგა) ლატარიას შვილიშვილის **მარია ბართაიას** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

გულსუნდა მახარაძე თანაუგრძნობს ლია გოგოლიშვილსა და ტატო მკურნალიძეს ძმისა და ცოლისძმის **გიორგი გოგოლიშვილის** გარდაცვალების გამო.

# სკანვორდი



დედად მიღებული
დიახ
მამაკაცის სახელი
მთის ერთ-ერთი სისტემა
თხელი წყალი მდინარეში
ქალაქი რაჭაში
რძის ნაწარმი
ცხოველური ცხიმი
გიჟი
მერკური 3-ის კოსმონავტი
ნადირობის ქალღმერთი
მხარე უკრაინაში
მუსიკალური ინსტუმენტი
ლიტერატურული ჟანრი
სხვის ბუდეში კვერცხის მდებელი
ერთგვარი დოლი
დასახლებული პუნქტი
ჩაპლინის მეუღლე
ოლია მოფერებით
სომხეთის დედაქალაქი
ნაგვის ასაღები ნიჩაბი
მიმოქცევიდან ჭარბი ფულის ამოღება
სევდა
სიგრძის საზომი ერთეული
დედა აჭარულად
ეშხი
სამეფო საგვარეულოს წარმომადგენელი
განცალკევებული კავშირი
ილეთი ჭიდაობაში
სწორი ხაზი
.... დიასამიძე
ჟამი
მეცხრე ასო
საწოლზე დასაგები
მაიმუნი
მამითადი
მუსიკ. ინსტრუმენტი

## № 29-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ვასილ ჩიგოგიძე; კაკანათი — მახე; შვილის ქმარი — სიძე; უცხოური სპორტული ფირმა — ადიდასი; ღვინის გადასხმისას იყენებენ — ძაბრი; პირველი სამნიშნა რიცხვი — ასი; მესამე ასო-ბგერა — გ; პირველი მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში — ურუგვაი; უღელტეხილი საქართველოში — მამისონი; ელემენტი — მოლიბდენი; ერთ-ერთი კინოვარსკვლავი — ალ პაჩინო; სახალხო დამცველი — ომბუდსმენი; ტექნიკური კულტურა — ბამბა; ჩამონათვალი — სია; ვეტერანი იტალიელი ფეხბურთელი — მალდინი; ბელგიელი ფეხბურთელი — ლუკაკუ; ქალაქი ესტონეთში — ტარტუ; რაზეც ტრიბუნებია — იარუსი; სასჯელი იარაღი — გილიოტინა; ჭაობის მცენარე — ისლი; ნაწლავის ჭია — ასკარიდი; მამაკაცის სახელი — იორამი; სოფელი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში — ჩანჩეთი; მუხის ნაყოფი — რკო; კოლხთა მეფე — აიეტი; გვირაბი — როკი; გადასატანი ჭურჭელი — ტარა; ავტომობილების შეჯიბრი — რალი; ციხე-სიმაგრე დუშეთში — ანანური; მით-... — მოთი; „არაჩვეულებრივი გამოფენის" პერსონაჟი — აკიმი; მშობელი — მამა; ცეცხლის ენა — ალი; საოჯახო ინვენტარი — უთო;

# გურული მოჭადრაკეების წარმატებული საჭადრაკო სეზონი გრძელდება



ალბათ, ჭადრაკის გულშემატკივრები არ შეგვედავებიან თუ წლევანდელი საჭადრაკო სეზონი რეგიონის საჭადრაკო ისტორიაში ყველაზე წარმატებულად ჩაითვლება. ყოველ შემთხვევაში სტატისტიკურად ჯერჯერობით ასე ჩანს. მართლაც , ჯერ წლის დამთავრებამდე შორსაა და ახალგაზრდა გურულ მოჭადრაკეებს უკვე საუკეთესო მონაგარი აქვთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამას ხელი შეუწყო საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წლევანდელმა კალენდარმა, რომლის მიხედვით მარტო დასავლეთ საქართველოში 7-8 საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა. ასე რომ, ჩვენი მოჭადრაკეებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა 30-ზე მეტი ქვეყნის წარმომადგენლებთან გამოეცადათ თავიანთი შესაძლებლობები.

თავშივე უნდა ითქვას 10 წლის **თენგიზ თოიძის** შესახებ. მას კარგად იცნობენ საჭადრაკო წრეებში, მაგრამ მინსკში მსოფლიო პირველობაზე ბრწყინვალე დებიუტის შემდეგ, მის მიმართ, როგორც მომავლის იმედი, დაინტერესება და ყურადღება ჭადრაკის მესვეურებისა და სპეციალისტების მხრიდან განსაკუთრებული გახდა. შეგახსენებთ, წელს მან ჯერ მუნიციპალური და რეგიონული ჩემპიონატები და სხვა ადგილობრივი ტურნირები მოიგო, შემდეგ საქართველოს პირველობაზე (უმაღლესი ლიგა) მსოფლიო პირველობის საგზური მოიპოვა, ხოლო ბათუმის საერთაშორისო ტურნირში პირველი ადგილი აიღო. მინსკში, 200 -ზე მეტ მონაწილეს შორის, თენგიზს რეიტინგული განთესვით სასტარტო 145-ე ადგილი ერგო. მაგრამ მისთვის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან 9 შესაძლებლიდან 7 ქულა დააგროვა, თანაც მასზე 250-300 ერთეულით მაღალი რეიტინგის მქონე მოჭადრაკეებთან და მე-4 ადგილი დაიკავა. ამასთან, პირადი რეიტინგი +99 -ით გაიუმჯობესა. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩემიონატში მონაწილე ხუთი რჩეული და ტიტულოვანი ქართველიდან ყველაზე მაღალი შედეგი თენგიზმა დადო (!).

არანაკლებ შთამბეჭდავია ახალგაზრდა გურული მოჭადრაკეების წარმატება ზაფხულის არდადეგების პერიოდში. ბათუმში (სამჯერ) ფოთში (ორჯერ), ტყიბულსა და ამბროლაურში ჩატარებულ ძლიერი წარმომადგენლობის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირებში გურულებმა ჯამში 21 საპრიზო ადგილი მოიპოვეს და შესაბამისი მედლები, თასები, დიპლომები და სოლიდური ფულადი პრიზები აიღეს.

ოზურგეთელებმა ჯამში 12 საპრიზო ადგილი დაიმსახურეს. ეს შეძლეს: **თენგიზ თოიძემ, დებმა თამარ** და **თეკლა ასათიანებმა** (შესაბამისად ერთი ვერცხლი, ორი ბრინჯაო), **ანა მეგრელაძემ** (1 ოქრო, 1 ვერცხლი), **ნათია** და **ლიზი ვასაძეებმა** ((შესაბამისად 1 ვერცხლი და 1 ბრინჯაო), **სანდრო გოგუაძემ** (ბრინჯაო) ნიკა ბარამიძემ (ბრინჯაო) **ანდრია კიკაბიძემ** (ბრინჯაო), დიდებიდან კი თავი გამოიჩინეს საჭადრაკო კლუბ „გურიას" წევრებმა საერთაშორისო ოსტატმა **ნიკა ჩხაიძემ** (2 ოქრო, ერთი ვერცხლი. ერთი ბრინჯაო), ოსტატობის კანდიდატებმა **ნინო წიტაიშვილმა** (ოქრო ბლიცში) და **გიორგი გოგოლაურმა** (ვერცხლი).

საპრიზო ადგილზე ვერ გავიდნენ, მაგრამ კარგად ითამაშეს **ლუკა მახარაძემ** და **გიორგი ხოხლენკომ,** რომლებიც მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩნენ საპრიზო ადგილს.

ლანჩხუთელების მონაგარია 14 საპრიზო ადგილი. რომელთა შორის ყველაზე მეტი მოდის **მარიამ ჩხაიძეზე** (2ოქრო, ერთი ვერცხლი) და **მიხეილ აფხაზავაზე** (1ოქრო, ორი ვერცხლი.ერთი ბრინჯაო), **ნინო გუნია** (ოქრო და ბრინჯაო). პრიზიორები გახდნენ ასევე, **ნატალი იმნაძე, მარიამ სარიშვილი, ქეთი კილასონია, ავთანდილ ჯანაშია, თენგიზ სტურუა, ლევან კომახიძე,** ლუკა კოზანაშვილი. დიდებიდან კი სენიორთა ჩათვლაში ოსტატობის კანდიდატმა **ტარიელ ხუხუნაიშვილმა** გამოიჩინა თავი

ჩოხატაურიდან თავი **საბა ბოლქვაძემ** ისახელა რომელმაც თანატოლთა შორის ბლიც -ტურნირში პირველი ადგილი აიღო და ოქროს მედალთან ერთად ფულადი პრიზიც მიიღო.

ტურნირთა დებულებები ასევე ითვალისწინებდა საუკეთესო მწვრთნელების გამოვლენას, რომლის კრიტერიუმები სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში მონაწილე აღსაზრდელების სპორტულ შედეგებს ეფუძნება. გურიის წარმომადგენლები არც ამ მხრივ ჩამორჩნენ. მათ სომეხ, აზერბაიჯანელ, უკრაინელ და ქართველ მწვრთნელებთან კონკურენციაში გამოავლინეს თავი. ეს შეძლეს: ოზურგეთელმა **ნინო წიტაიშვილმა** (ორჯერ, მ.შ. ერთჯერ პირველი პრიზი) და ლანჩხუთელებმა **ტარიელ** და **ადამ ხუხუნაიშვილებმა.** ნინომ ბათუმის ტურნირებში, ხოლო ტარიელმა და ადამმა რაჭა-2019"-ში და „ტყიბული-2019"-ში.

მინდა აქვე ავღნიშნო საჭადრაკო კლუბ „გურიის" წევრის ოსტატატ **სანდრო ებრალიძის** წარმატება საქართველოს კორპორაციულ ჩემპიონატში, სადაც მაღალი კონკურენციის პირობებში ჩემპი-ონობა მოიპოვა და ევროპის პირველობის საგზური აიღო.

როგორც თავში ავღნიშნე, ჯერ კიდევ ადრეა საჭადრაკო სეზონის შეჯამება, რამეთუ წლის ბოლომდე კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება გველის. წინაა 2019 წლის მუნიციპალური და რეგიონული ჩემპიონატები. ასევე საქართველოს პირველობის პირველი ლიგა. წლის ბოლომდე მეტად მნიშვნელოვანი 12 ტური გვაქვს დარჩენილი საქართველოს საკლუბო ჩემპიონატზე. ჭადრაკის მოყვარულებმა იციან, რომ ჩვენი რეგიონი აქ ორი გუნდითაა წარმოდგენილი- ოზურგეთის „გურია" და ლანჩხუთის „ლანჩხუთი". დღეისათვის, ოზურგეთელებს 26, ხოლო ლანჩხუთელებს 20,5 ქულა აქვთ და ათ გუნდს შორის V–VI პოზიცია უკავიათ. ამ ჩემპიონატში დაფების მიხედვით ლიდერობს თენგიზ თოიძე, რომელსაც თავის დაფაზე 6 ქულა აქვს. კალენდრის მიხედვით ოზურგეთელები უახლოეს მატჩს 14 სექტემბერს ჩაატარებს სტუმრად სამტრედიის „სამტრედიასთან".

ვიმედოვნებთ, ჩვენი მოჭადრაკეები წლის ბოლობდე დარჩენილ ტურნირებში განამტკიცებენ მიღწეულ შედეგებს.

**ზურაბ ანდღულაძე,**
გურიის ჭადრაკის
ფედერაციის პრეზიდენტი.

# ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანებაში დაცულ კოლხური კულტურის ბრინჯაოს განძებს მალე ევროპა გაიცნობს



27 ივლისიდან 4 აგვისტომდე ჩვენს მუზეუმს სტუმრობდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გერმანის არგეოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი 2017 წლიდან ბატონი ჯონი აფაქიძე.

ბატონი ჯონი მუშაობს გერმანიის სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოების სამეცნიერო პროექტზე: „ბრინჯაოსა და ადრე რკინის კოლხური კულტურის განძები დასავლეთ და ცენტრალურ კავკასიაში". კვლევის შედეგები გამოქვეყნდება გერმანიაში.

ოზურგეთის სამუზეუმო გაერთიანებაში დაცულია ურეკის (2 განძი), მაკვანეთის, შრომის, ვაკიჯვრის, ბაღდადისა და ლაითურის განძები. ურეკის ბრინჯაოს ერთი განძი კოლხური კულტურის ერთ-ერთი უადრესი განძია.

როგორც ბატონი ჯონი მიუთითებს, გურიის ზღვისპირეთი ბრინჯაოს ხანაში კოლხური კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგიონი უნდა ყოფილიყო.

ძვ. წ. II ათასწლეულის ევროპისა და კოლხეთის ბრინჯაოს ხანის კულტურების ბრინჯაოს განძების შესწავლა პრეისტორიული არქეოლოგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია. ოზურგეთის მუზუმში დაცული განძები ერთიანი კოლხური კუტურის ძეგლებია. განძების უპირველესი დანიშნულება იყო მათი შეწირვა წარმართული ღმერთებისადმი. ამ რიტუალის დამადასტურებელი არაერთი მონაცემის მოტანა შეიძლება. კერძოდ, შეწირვის რიტუალის დაწყებამდე ხდებოდა ბრინჯაოს განძებში შემავალი ნივთების დამტვრევა ან საგანგებოდ დაზიანება. განძებში შემავალ ბრინჯაოს ნივთებზე ხშირად გვხვდება ცეცხლის ნაკვალევი, რაც ამ ნივთების რიტუალურ ცეცხლში ყოფნაზე უნდა მიუთითებდეს. განძები უპირატესად შეიცავენ სხვადასხვა ტიპი სბრინჯაოს კოლხურ ცულებს, თოხებს, სეგმენტისებრ იარაღებსა და ბრინჯაოს ზოდებს. განძების შემადგენლობაში ზოგჯერ თავს იჩენს ბრინჯაოს სხვა ტიპის ნივთები და სამკაულიც, მაგალითად, შუბის პირები და ფიბულები. თუმცა, განძების შემადგენლობაში წამყვანი ნივთები მაინც ბრინჯაოს კოლხური ცულები, თოხები, სეგმენტები და ასევე ბრინჯაოს ზოდებია.

კოლხური კულტურის გავრცელების არეალი გვიან ბრინჯოს და ადრერკინის ხანაში, განსაკუთრებით კი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისში მნიშვნელოვნად ცდებოდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას და მოიცავდა თანამედროვე სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთსაც, სადაც, მაგალითად, ართვინსა და ორდუში კოლხური კულტურის ბრინჯაოს განძებია აღმოჩენილი. კოლხური კულტურის გავრცელების არეალში შემოდიოდა ასევე თანამედროვე მესხეთი და შიდა ქართლის ტერიტორიების აღმოსავლეთი და ცენტრალური ნაწილები, ასევე ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაც. აღნიშნული ტერიტორიების ფარგლებში ყველგან გვხდება ბრინჯაოს განძები, რომელიც კოლხური კულტურის ფრიად საყურ-დღებო ფენომენია.

ამასთან, მკითხველს მინდა გავაცნო შესანიშნავი პიროვნების, საქართველოს დიდი მოყვარულის, არქეოლოგის, ისტორიკოსის, მეცნიერის, ღირსეული მამულიშვილის ბატონ ჯონი აფაქიძის ბიოგრაფია.

დაიბადა ზუგდიდში. დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სამეცნიერო-პედაგოგიურ და კვლევით სამუშაოებს აწარმოებდა ბერლინის თავისუფალ და ტიუბინგენის უნივერსიტეტებში, ასევე გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტში. მონაწილეობდა ტროას საერთაშორისო არგეოლოგიურ გათხრებში.

2005 წელს თბილისში თორმეტი ქვეყნის ჰუმბოლტელთა მონაწილეობით ჩაატარა სიმპოზიუმი თემაზე: „სამხრეთ კავკასია ევროპული ინტეგრაციის გზაზე", ხოლო 2007 წელს - შავი ზღვის აუზის ქვეყნებისა და გერმანიის ჰუმბოლტელ არქეოლოგებთან ერთად სიმპოზიუმი თემაზე: შავი ზღვის აუზი ძვ. წ. 5000-500 წწ. კომუნიკაცია კავკასიასა და კარპატებს შორის".

ჯონი აფაქიძის კვლევის ძირითადი მიმართულებებია: კავკასიის ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანის კულტურები, ქრონოლოგია არქეოლოგიაში, კოლხეთის არქეოლოგია, ტროას არქეოლოგია ისტორია და კულტურა.

2007 წლიდან 2017 წლამდე გახლდათ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი თბილისში. გამოქვეყნებული აქვს 80-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის დიდი ნაწილი დაბეჭდილია საყოველთაოდ აღიარებულ მაღალრეინტინგულ გამოცემებში.

1993 წელს იყო გერმანიის სასწავლო აკადემიური გაცვლების სამსახურის სტიპენტიანტი, 1996 წელს - გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სტიპენდიანტი, 1998, 1999, 2003, 2006,2010 და 2016 წლებში - გერმანიის ალექსანდრე ჰუმბოლდტის ფონდის სამეცნიერო სტიპენდიანტი.

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატია 1989 წლიდან,დოცენტის წოდება მიენიჭა 1993 წელს. დოქტორის სამეცნიერო ხარისხი დაიცვა 2002 წელს. პროფესორის წოდება მიენიჭა 2004 წელს. სრული პროფესორია 2006 წლიდან.

ამჟამად ბატონი ჯონი, ოჯახთან ერთად, ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიაში — ბერლინში.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, იგი მუშაობს გერმანიის კვლევითი საზოგადოების სამეცნიერო პროექტზე „ბრინჯაოს ადრე რკინის ხანის კოლხური კულტურის განძები დასავლეთ და სამხრეთ კავკასიაში".

ბატონ ჯონის მიღებული აქვს სამშობლოს მაღალი ჯილდოები: საქართველოს ეროვნული პრემია, ბრწყინვალების ორდენი, წმინდა თამარ მეფის ოქროს ბეჭედი, წმინდა ნინოს ბრილიანტის ჯვარი, წმინდა გიორგის ოქროს სამკერდე ხატი და სხვა.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**მანანა ლომაძე,**
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარი
მცველი

# „დავით შემოქმედელის პოეტური სამყარო“

***ასე ჰქვია კრიტიკოს გულნაზი გვალიას 552-გვერდიან წიგნს, რომელიც „მწიგნობარმა“ ახლახან გამოსცა. წიგნის ერთი ეგზემპლარი საჩუქრად „ლიტერატურულ გურიასაც“ ერგო. ამ ვრცელი ნაშრომისთვის თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ ავტორმა ჩვენი მეგობრის, თანამედროვეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო ქართველი პოეტის, შემოქმედელი შემოქმედისთვის საკადრისი სათქმელი თქვა.***

***გთავაზობთ წიგნის რედაქტორის ავთანდილ არაბულის მოსაზრებას ამ უნიკალური ნაშრომის შესახებ***



შესაძლებელია თუ არა ერთი პოეტის შემოქმედებამ დაგვანახოს ეპოქის სრული სულიერი სურათი?

ამ კითხვაზე პასუხი ცალსახად დადებითი იქნებოდა წინა საუკუნეში, ე. წ სოცრეალიზმის პირობებში, როდესაც შემოქმედი, ჩვეულებისამებრ, სოციალური კამერტონის როლს ასრულებდა (უნდა შეესრულებინა).

მაგრამ იმავეს თქმა ადვილი არ არის თანამედროვე პოეტზე, რომელსაც რთული და წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აქვს ასევე დეფორმირებული სინამდვილის მიმართ. მით უფრო ეს იმ კალმოსანთა შესახებ, რომელთა თავზეც უახლესი სოციალურ-პოლიტიკური, გლობალური და ლოკალური კატაკლიზმების ყველა წისქვილის დოლაბი დატრიალდა და მეტწილ ჯავრი და ტკივილი ჩამოფქვა...

კრიტიკოსმა გულნაზი გვალიამ, ერთი შეხედვით, მეტად გაბედული ნაბიჯი გადადგა, როცა თანამედროვეობის ამგვარი პოეტური პანორამის წარმოდგენა დაისახა მიზნად და ამ ზოგადი განზრახვის შესასრულებლად გამოიყენა ერთი თანამედროვე პოეტის – დავით შემოქმედელის – პოეზია (ლექსები და პოემები).

უნდა ითქვას, რომ შედეგი თვალსაჩინოა: კრიტიკოსმა შეძლო ხელშესახებად წარმოეჩინა ამ გამორჩეული პოეტის შემოქმედების არსებითად ყველა წახნაგი, უფრო სწორად, პოეტის თანაგანმცდელად, თანაშემოქმედად გარდასახულიყო იმ ვნებების, იმ ტკივილისა და სიხარულის წარმოჩენისას, რაც დავით შემოქმედელის პოეტურ კრებულებში დამწკნდარა დროთა განმავლობაში.

აუცილებელია ამ წიგნის მკითხველმა გაითვალისწინოს, რომ ეს არ არის ტრადიციული მონოგრაფია ერთი მწერლის შემოქმედების შესახებ. ეს პოეტის შემოქმედების პრიზმაში დანახული და სუბიექტურად არეკლილი თანამედროვეობაა. ამიტომაც ამ წიგნი-ექსპერიმენტისათვის ასეც შეიძლებოდა გვეწოდებინა: მედიტაციები პოეტის თემებზე.

წინამდებარე წიგნის საინტერესო თავებსა და პარაგრაფებში მძაფრად სცემს ჩვენი მშფოთვარე ქვეყნის ძარღვი, მოჟონავს ეპოქის სისხლი და ცრემლი, ისმის ურჩი სიმღერა და გულმოკლული კვნესა, გვესაუბრება მოხუცი და ბავშვი, ბრძენი და სალოსი... რაც მთავარია, კვლავ სცემს სიყვარულით ანთებული გული, რომელსაც დრომ ყინულის არტახები დაახვედრა... და ისმის პოეტის შეძახილი – როგორც ეპოქის ლოზუნგი:

„გადამირჩინეთ სიყვარული!“

გვეჩვენება, რომ ეს წიგნიც ამ დრამატული ძახილის ექოა...

**ავთანდილ არაბული,**
აკადემიკოსი.



## დავით შემოქმედელი

## გომისმთა

მთებს ქვემოთ თოვლა ნისლის ფაფარი,
იწვა, ვით მშვიდი ზღვა მოთენთილი,
შორს შემოქმედის მთაზე ტაძარი,
და მთები მთებზე შემოხეთქილი.

სამშობლო მხოლოდ ცრემლი არ არის,
ადიდგორებულ სპაზე დიდია,
მოითარეშებს ნისლთა ლაშქარი,
მთებს და სამზეოს გზებით მიდიან.

აქ, ღვთის სადგომში რა დაგვაძინებს,
დადექ და ვარსკვლავთ კოცონი თვალე,
საცაა ალბათ ბეჭზე გავიდებთ,
გურიის მთებზე დაგდებულ მთვარეს.

ქარი კეცავდა სველ წიფლებს მაღლებს,
სუფრასთან ვჭექდით ოცი ფირალი,
და სულგაყიდულ ოხრანკის ძაღლებს,
ბედს აწყევლიდა ნასაკირალი.

გავტეხეთ პური, ორადნახადი
არაყი ფეთქდა, ვით თოფი ფილთა,
თითქოს ახადა ლექსმა ყავარი,
სატევარივით ვიშიშვლეთ სიტყვა.

მასპინძელივით ხარობდა ჭერი,
ერთსაც არ ერქვა ჩვენში სტუმარი,
გურული ნენას თავშალისფერი
ღამე კარებთან იწვა მდუმარი.

მთვარე მეგზურად მსურს რო ვიახლო,
ზეცა წმინდაა, ვით ანგელოსი,
გურია – უფლის ჯილდო ცის ახლო,
ამ ჩვენს ღვთის ნალოც საქართველოსი.

# ოზურგეთის ჭაბუკ ფეხბურთელთა წარმატება ხობში



2019 წლის 24-29 აგვისტოს ქ. ხობში გაიმართა ტრაგიკულად დაღუპულ „კოლხეთი" 2-ის ახალგაზრდა ფეხბურთელის ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავას სახელობის თასის გათამაშება. შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ: ფოთის „კოლხეთი", ზუგდიდის საფეხბურთო სკოლა, ხონის სასპორტო სკოლა, მარტვილში თბილისის „დინამოს"-ს აკადემია, სენაკის „ქუჯი", სამტრედიის „სამტრედია", ხობის „კოლხეთი" და ოზურგეთის სასპორტო სკოლის (დირექტორი გელა შაფაქიძე) ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდები. ოზურგეთის გუნდის მთავარი მწვრთნელი გახლდათ გია ტულუში, თანაშემწეები რამაზი ასკუროვა, თორნიკე წულაძე, თემურ ღლონტი. მწვრთნელ -კონსულტანტი კი სასპორტო სკოლის ფეხბურთის მთავარი სპეციალისტი გოჩა კრასოტკინი.

გუნდები განაწილდენ ორ ჯგუფად. ა ჯგუფი: ხობი, ოზურგეთი, სამტრედია, ხონი; ბ ჯგუფი: ფოთი, ზუგდიდი, მარტვილი, სენაკი. აქვე გაგაცნობთ ჩვენი ჯგუფის შეხვედრების შედეგებს. 24 აგვისტო ხობი-ხონი 5-2; ოზურგეთელებმა კი ანგარიში 4-3 დაამარცხეს სამტრედიელი თანატოლები. გოლები გაიტანეს: ლუკა ბართაიამ 2; გუჯა ნათიძემ და თორნიკე კუნჭულიამ. 25 აგვისტო სამტრედია-ხონი 6-2; ჩვენი გუნდი კი დაძაბულ ბრძოლაში ანგარიში 1-2 დამარცხდნენ მასპინძლებთან, ხობის გუნდთან გოლი კი გუჯა ნათიძემ გაიტანა. 27 აგვისტოს ხობი-სამტრედია 2-2; ოზურგეთელებმა კი ანგარიშით 7-4 დაამარცხეს ხონელი ფეხბურთელები. გოლები გაიტანეს: გუჯა ნათიძემ 2; ალეკო ცერცვაძემ 2; ზურა გეგიაძემ, ელგუჯა ბაჯელიძემ და ლუკა ჩხარტიშვილმა. ჩვენმა გუნდმა ჯგუფში მე-2 ადგილი დაიკავა და ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალები 28 აგვისტოს გაიმართა. ხობის და მარტვილის მატჩი ფრედ 1-1 დამთავრდა. 7 მეტრიანი საჯარიმო დარტყმები უკეთესად მარტვილელებმა დაარტყეს და ფინალში გავიდნენ, ხოლო ჩვენი ფეხბურთელები ზუგდიდელ თანატოლებთან დამარცხდნენ. 29 აგვისტოს გაიმართა ფინალური მატჩი ზუგდიდისა და მარტვილის გუნდებს შორის. ანგარიშით 3-2 გაიმარჯვეს მარტვილის ნორჩმა ფეხბურთელებმა და ტურნირის მთავარ თასს დაეუფლენ. მე-3 ადგილ-ისათვის კი ერთმანეთის პირისპირ ისევ წარსდგენენ ოზურგეთისა და ხობის ფეხბურთელები. ჩვენი ფეხბურთელები ხობელებთან რევანშის სურვილით გამოვიდნენ და შედეგმაც არ დაახანა მათ მეტოქე 4-0-ზე გაანადგურეს და ტურნირში მე-3 საპატიო ადგილი დაიკავეს. ამ მატჩში ბურთები გაიტანეს ბექა გოგოლაურმა, გუჯა ნათიძემ, ზურაბ გეგიაძემ და ლუკა ჩხარტიშვილმა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ გაიმართა გამარჯვებული გუნდების დაჯილდოვება. ოზურგეთელ ფეხბურთელებს გადაეცათ თასი მე-3 ადგილისათვის და აგრეთვე თითოეული ბავშვი დაჯილდოვდა სამახსოვრო დიპლომით. ტურნირის საუკეთესო ნახევარმცველად კი დასახელდა ოზურგეთელი ბექა გოგოლაური.

აქვე გაგაცნობთ გამარჯვებულ ბიჭებს: ირაკლი კავაზაშვილი, ლუკა ხურციძე (ქვემო ნატანები); ალეკო ცერცვაძე, დიმიტრი პერხანოვი, ლუკა ბართაია; გიორგი ხომერიკი, ლუკა მახარაძე, გიორგი პატარაია, (ზემო ნატანები); გუჯა ნათიძე (ლაითური); ზურაბ გეგიაძე, გიორგი გათენდაშვილი (ლიხაური); ბექა გოგოლაური, ნიკა დოლიძე, ლუკა ჩხარტიშვილი (ოზურგეთი); ელგუჯა ბაჯელიძე (ბახვი). ლაშა კოპლატაძე (ოზურგეთი).

ნუგზარ (ნუტი) ლემონჯავა დაიბადა 1996 წლის 29 აგვისტოს. ბავშვობაში თამაშობდა ხობის „კოლხეთის" ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდში (მწვრთნელი რევაზ ქაშიბაძე) 2011-2012 წლებში თამაშობდა ხობის „კოლხეთი"2-ის გუნდის შემადგენლობაში (მწვრთ-ნელი ალექსანდრე სანაია). 2013 წლის 11 აგვისტოს ახალგაზრდა ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა.

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ელ-ჭექი +14+23 | მზე, ღრუბელი +14+23 | მზე, ღრუბელი +14+24 | მზე, ღრუბელი +14+25 | მცირე წვიმა +14+22 | ელ-ჭექი +14+2Ა | მცირე წვიმა +14+21 |
| 9 სექტემბერი ორშაბათი | 10 სექტემბერი სამშაბათი | 11 სექტემბერი ოთხშაბათი | 12 სექტემბერი ხუთშაბათი | 13 სექტემბერი პარასკევი | 14 სექტემბერი შაბათი | 15 სექტემბერი კვირა |